საგარეო საფრთხეების აღქმა საქართველოში

CRRC-საქართველო

2023

CRRC-საქართველოს შესახებ

CRRC-საქართველო არის არაკომერციული კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი მონაცემების ხელმისაწვდომობას საზოგადოებრივი სიკეთისთვის. ორგანიზაციის მისიაა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული დისკუსიის ხელშეწყობა სანდო, უახლესი, და ხელმისაწვდომი მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით.

ავტორი

გიორგი ბაბუნაშვილი, პოლიტიკის უფროსი ანალიტიკოსი
კონტაქტი: giorgi@crrccenters.org

მადლობა

ავტორს სურს მადლობა გადაუხადოს CRRC-საქართველოს დირექტორს კობა თურმანიძეს, კვლევით დირექტორს დავით სიჭინავას, უფროს მკვლევარს მარიამ კობალაძესა და მკვლევარს გივი სილაგაძეს, კვლევის ფარგლებში მათ მიერ გაწეული შრომისა და უკუკავშირისთვის. ასევე, CRRC-ის მკვლევარს მახარე აჭაიძეს ანგარიშის ვიზუალური გაფორმებისთვის.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი კვლევა CRRC-საქართველომ ჩაატარა დემოკრატიის ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CRRC-საქართველო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს დემოკრატიის ეროვნული ფონდის შეხედულებებს.

საავტორო უფლებები

© კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, საქართველო. ყველა უფლება დაცულია.

დოკუმენტს იცავს საავტორო უფლებები. ნებართვის გარეშე ნაშრომის სრული ან ნაწილობრივი თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება შესაძლოა იყოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა.

სარჩევი

მოკლე შინაარსი 5

გამოკითხვის მეთოდოლოგია 7

გამოკითხვის მიგნებები 8

- საქართველოს მოქალაქეები ძლიერ პროდასავლურ მისწრაფებებს ინარჩუნებენ 9
- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ სჯერა, რომ დათმობების გზით რუსეთთან ომის არიდება შესაძლებელია 16
- საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა მიუღებლად მიიჩნევს რუსეთთან კონფლიქტის არიდების მიზნით ქვეყნის ძირეული ინტერესების დათმობას 19
- ინფორმაციის მიწოდების გავლენა დათმობების მიმართ დამოკიდებულებებზე 23
- უმრავლესობას სჯერა, რომ უკრაინა საკუთარ ტერიტორიებს გაათავისუფლებს 26

შეჯამება 29

დიაგრამები

დიაგრამა 1: ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა - NDI და CRRC-ის გამოკითხვის დროითი მწკრივები 9
დიაგრამა 2: მოსაზრებები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ 10
დიაგრამა 3: საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება და ეკონომიკური განვითარება 11
დიაგრამა 4: საქართველოს ნატოში გაწევრიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა..... 12
დიაგრამა 5: საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება და ეროვნული იდენტობა..... 13
დიაგრამა 6: საქართველოს ნატოში გაწევრიანება და რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესია 14
დიაგრამა 7: რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა?..... 15
დიაგრამა 8: შეეძლო თუ არა უკრაინას თავიდან აერიდებინა / შეუძლია თუ არა საქართველოს თავიდან აირიდოს რუსეთთან ომი, თუ ის წავიდოდა / წავა გარკვეულ დათმობებზე?..... 16
დიაგრამა 9: შეეძლო თუ არა უკრაინას თავიდან აერიდებინა / შეუძლია თუ არა საქართველოს თავიდან აირიდოს რუსეთთან ომი, თუ ის წავიდოდა / წავა გარკვეულ დათმობებზე? - დაჯგუფებული 17
დიაგრამა 10: შეეძლო თუ არა უკრაინას თავიდან აერიდებინა / შეუძლია თუ არა საქართველოს თავიდან აირიდოს რუსეთთან ომი, თუ ის წავიდოდა / წავა გარკვეულ დათმობებზე - სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით 18
დიაგრამა 11: შესაძლო დათმობების მხარდაჭერა რუსეთთან ომის ასარიდებლად 19
დიაგრამა 12: უნდა დათმოს საქართველომ / დაეთმო უკრაინას დასავლური ორიენტაცია თუ ეს მას რუსეთთან ომს აარიდებს / აარიდებდა - სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით 20
დიაგრამა 13: უნდა დათმოს საქართველომ / დაეთმო უკრაინას ტერიტორიების ნაწილი თუ ეს მას რუსეთთან ომს აარიდებს / აარიდებდა - სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით 21
დიაგრამა 14: უნდა შეუერთდეს საქართველო / შეერთებოდა უკრაინა ოფიციალურად რუსეთს თუ ეს მას რუსეთთან ომს აარიდებს / აარიდებდა - სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით 22
დიაგრამა 15: ომის არიდება შესაძლოა დათმობების გზით - ინფორმაციის ეფექტი. 24
დიაგრამა 16: დასავლური ორიენტაციის დათმობა ომის ასარიდებლად - ინფორმაციის ეფექტი. 24
დიაგრამა 17: დამოუკიდებლობის დათმობა ომის ასარიდებლად - ინფორმაციის ეფექტი. 25
დიაგრამა 18: რა შედეგით დასრულდება ომი უკრაინაში? სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით 26
დიაგრამა 19: უცხოელი ლიდერების ქმედებების შეფასება უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით..... 27
დიაგრამა 20: ქართველი ლიდერების ქმედებების შეფასება უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით..... 28

მოკლე შინაარსი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი რუსეთიდან მომდინარე საფრთხეა. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ამ თემის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. უკრაინაში მიმდინარე ომის, რუსეთიდან მომდინარე პოტენციური სამხედრო საფრთხეების და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პერსპექტივის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად, CRRC-საქართველომ, დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) ფინანსური მხარდაჭერით, 2022 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობითი გამოკითხვა ჩაატარა.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ რუსეთის მხრიდან პოტენციური საფრთხის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას მტკიცედ უჭერენ მხარს, თუმცა, მათ გადაჭარბებული მოლოდინი არ აქვთ იმის შესახებ, რომ ნატოში გაწევრიანება ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს. ამავდროულად, ქართული საზოგადოება მრავალფეროვანია და ზოგიერთი ჯგუფი მეტად უჭერს მხარს დასავლურ მისწრაფებებს, ზოგი კი - ნაკლებად. საქართველოს პროდასავლური მისწრაფებების მხარდაჭერის დონე ახალგაზრდებს, ქალაქების მოსახლეობას, უმაღლესი განათლების მქონე პირებსა და ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ჯგუფებში. გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობაში რუსეთისგან შემდგომი აგრესიული მოქმედებების მოლოდინია.

საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმის თაობაზე, უნდა წავიდეს თუ არა საქართველო დათმობებზე რუსეთთან უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. მშვიდობის შენარჩუნებისთვის გარკვეულ კომპრომისებზე წასვლას უმრავლესობა გადაჭრით არ უარყოფს, თუმცა, ამავდროულად ის ავლებს მკაფიო ხაზებს, სადაც დათმობებზე წასვლა, თუნდაც მშვიდობის მისაღწევად, დაუშვებელია. როგორც გამოკითხვა აჩვენებს, საქართველოს მოქალაქეების უდიდესი ნაწილი ჩრდილოელი მეზობლის აგრესიის დასაშოშმინებლად დასავლური მისწრაფებების, ქვეყნის ტერიტორიებისა და დამოუკიდებლობის დათმობას არ ემხრობა. აღსანიშნავია, რომ ქართული ოცნების მხარდამჭერები უფრო მეტად არიან მზად, რუსეთთან ომის თავიდან ასაცილებლად დასავლური ორიენტაცია დათმონ, ვიდრე ოპოზიციის მხარდამჭერები და პარტიებისადმი მიუმხრობელი ადამიანები. ახალგაზრდები, ქალაქების მოსახლეობა და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები ასევე ნაკლებად ემხრობიან რუსეთთან შესაძლო მშვიდობაში ქვეყნის პროდასავლური მისწრაფებების გაცვლას.

საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის როლს დადებითად აფასებს. მაღალი შეფასების მხრივ, მას ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი ბორის ჯონსონი და აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მოსდევს. მეორეს მხრივ, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე

ლუკაშენკოს უარყოფითი შეფასება აქვთ. ზოგადად, ოპოზიციის მხარდამჭერები უფრო მკვეთრ შეფასებებს აკეთებენ და უფრო პოზიტიურად აღწერენ უკრაინის პრეზიდენტისა და დასავლელი ლიდერების როლს და უფრო უარყოფითად - რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტების როლს, ვიდრე ქართული ოცნების მხარდამჭერები და პარტიებისადმი მიუმხრობელი მოქალაქეები. რაც შეეხება რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით საქართველოს ხელმძღვანელობის ქმედებებს, სხვადასხვა პარტიის მხარდამჭერები მას სხვადასხვანაირად აფასებენ.

გამოკითხვის მეთოდოლოგია მოიცავს რანდომიზებულ ექსპერიმენტს, რომლის ფარგლებშიც რესპონდენტების ერთმა ჯგუფმა მოისმინა ინფორმაცია, რომელიც უკრაინის სამხედრო წარმატებებს უსვამდა ხაზს, მეორე ჯგუფმა კი - ინფორმაცია, რომელიც აქცენტს უკრაინის დიდ დანაკარგებზე აკეთებდა. რესპონდენტთა მესამე ჯგუფს გამოკითხვის ფარგლებში რაიმე დამატებითი ინფორმაცია არ მიუღია. ექსპერიმენტმა დაგვანახა, რომ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი გავლენას ახდენს მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფის განწყობაზე რუსეთთან კომპრომისის მიმართ. უკრაინის დანაკარგების შესახებ შეტყობინებამ ყველაზე საგრძნობი ზეგავლენა იქონია სხვებზე უფრო პროდასავლურად განწყობილ ჯგუფებში, რომლებიც ამავდროულად ყველაზე ნაკლებად უჭერდნენ მხარს რუსეთთან რაიმე კომპრომისს. კერძოდ, ოპოზიციის ის მხარდამჭერები, რომლებმაც მოისმინეს ინფორმაცია მიმდინარე ომში უკრაინის დანაკარგების შესახებ, უფრო მეტად დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ უკრაინას რუსეთთან გარკვეული დათმობებით ომის თავიდან არიდება შეეძლო, ვიდრე ოპოზიციის ის მხარდამჭერები, ვისაც არანაირი ინფორმაცია არ მოუსმენია. უკრაინის დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ოპოზიციის მხარდამჭერებში ასევე გაიზარდა თანხმობა იმ მოსაზრების მიმართ, რომ საქართველოს შემთხვევაშიც მართებული იქნება პროდასავლური ორიენტაციის დათმობა რუსეთთან ომის თავიდან აცილების მიზნით. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს და პარტიებისადმი მიუმხრობელ ადამიანებს, მიწოდებული ინფორმაციის შინაარსმა მათ მოსაზრებებზე, საერთო ჯამში, ნაკლები ზეგავლენა იქონია. ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ფიქრობს, რომ რუსეთი უკრაინის სრულ ოკუპაციას ვერ შეძლებს, თუმცა, მოსაზრებები იყოფა იმის თაობაზე, უკრაინა საკუთარი ტერიტორიების გათავისუფლებას სრულად შეძლებს თუ მხოლოდ ნაწილობრივ.

გამოკითხვის მეთოდოლოგია

მოსახლეობის რაოდენობრივი სატელეფონო გამოკითხვა 2022 წლის 29 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ჩატარდა. ჯამში გამოიკითხა 1,523 ზრდასრული (18 წლის და უფროსი) საქართველოს მოქალაქე. გამოკითხვაში გამოყენებულ შერჩევასა და მოსახლეობის დემოგრაფიულ მონაცემებს შორის განსხვავებების კომპენსაციის მიზნით, ანგარიშში შეწონილ შედეგებს გავაანალიზებთ.

გამოკითხვის ფარგლებში CRRC-საქართველომ რანდომიზებული ექსპერიმენტი ჩაატარა. რესპონდენტები შემთხვევითი წესით სამ ჯგუფად დავყავით. ორ ჯგუფში რესპონდენტებს სხვადასხვა ინფორმაცია მივაწოდეთ, ხოლო მესამე ჯგუფს რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია არ მიუღია:

- ჯგუფი 1: „როგორც იცით, უკრაინამ შეძლო რუსული სამხედრო აგრესიის მოგერიება, კერძოდ, მათ შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობა, დაიცვეს დედაქალაქი კიევი და რუსულ არმიას მიაყენეს დიდი ზიანი.“
- ჯგუფი 2: „როგორც იცით, უკრაინამ რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად დიდი დანაკარგები განიცადა, კერძოდ, მათ დაეღუპათ ათეულ ათასობით სამხედრო და სამოქალაქო პირი, დაკარგეს ტერიტორიები და ეკონომიკამ მიიღო დიდი ზიანი.“
- ჯგუფი 3: ინფორმაციის გარეშე.

რანდომიზებული ექსპერიმენტი საშუალებას გვაძლევს, გავაანალიზოთ სხვადასხვა ინფორმაციის ზეგავლენა ომისა და საგარეო საფრთხეების შესახებ რესპონდენტების პასუხებზე.

გამოკითხვის მიგნებები

ამ თავის პირველ ნაწილში მიმოვიხილავთ საქართველოს მოქალაქეების დამოკიდებულებას საერთაშორისო აქტორების მიმართ, სადაც დავინახავთ, რომ უაღრესად არამდგრად საერთაშორისო ვითარებაშიც კი საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის დასავლური მისწრაფებების მიმართ მტკიცედ ერთგულნი რჩებიან. ვისაუბრებთ იმაზე, რომ საქართველოს პროდასავლური ორიენტაციის მიმართ მხარდაჭერის დონე ყველაზე მაღალია ოპოზიციის მხარდამჭერებს, ახალგაზრდებს, ქალაქების მოსახლეობას და შედარებით მაღალი განათლების მქონე მოქალაქეებს შორის.

შემდეგ განვიხილავთ იმას, თუ რას ფიქრობენ საქართველოს მოქალაქეები გარკვეულ დათმობაზე წასვლით რუსულ აგრესიასთან დაკავშირებული საფრთხეების შერბილებაზე. ყურადღებას გავამახვილებთ არა მხოლოდ მიმდინარე რუსულ აგრესიაზე უკრაინაში, არამედ პოტენციურად მსგავს საფრთხეებზე საქართველოსთვის. ჯერ ვისაუბრებთ იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას არ სჯერა, რომ, ზოგადად, რუსეთის მხრიდან აგრესიის შეჩერება დათმობების გზით შეიძლება, შემდეგ კი განვიხილავთ დათმობის კონკრეტულ მაგალითებს, როგორიცაა დასავლური ორიენტაციის, ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებლობის დათმობა. ვნახავთ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ძირითადი ინტერესების დათმობას მხარს არ უჭერს, თუნდაც ამ დათმობამ რუსეთთან მშვიდობა უზრუნველყოს. ამავდროულად, ის ჯგუფები, რომლებშიც პროდასავლური განწყობები ყველაზე ძლიერია, ასევე ყველაზე ნაკლებად უჭერენ მხარს რუსეთთან კომპრომისებს.

ამ თავის შემდეგ ნაწილში განვიხილავთ რანდომიზებული ექსპერიმენტის შედეგებს. მონაცემები აჩვენებს, რომ მიმდინარე ომში უკრაინის წარმატებების ან დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მიღების შედეგად, ზოგიერთი ჯგუფი უფრო მეტად იცვლის მოსაზრებებს, ვიდრე სხვები. საინტერესოა, რომ ყველაზე ძლიერი პროდასავლური განწყობის მქონე და რუსეთის მიმართ ყველაზე ნაკლებად კომპრომისული ადამიანები ამავდროულად ყველაზე მოწყვლადი არიან უკრაინის დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მიმართ. ისინი უფრო მეტად არბილებენ პოზიციებს რუსეთთან კომპრომისზე წასვლასთან დაკავშირებით, ვიდრე შედარებით ნაკლებად პროდასავლურად განწყობილი და რუსეთთან დათმობების მეტად მხარდამჭერი ჯგუფები.

გამოკითხვის მიგნებების ბოლო ნაწილი ომის შედეგთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეების მოლოდინებს მიმოიხილავს. ამ ნაწილში ასევე ვსაუბრობთ იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქეები, ზოგადად, დადებითად აფასებენ უკრაინის პრეზიდენტისა და უკრაინის მხარდამჭერი დასავლელი ლიდერების როლს, ხოლო რუსეთის ლიდერისა და მისი ბელორუსი მოკავშირის ქმედებებს - უარყოფითად. ამავდროულად, მოსაზრებები მიმდინარე ომთან მიმართებით საქართველოს პოლიტიკური ლიდერების როლზე უფრო მრავალფეროვანია და განსხვავდება ჯგუფების მიხედვით.

საქართველოს მოქალაქეები ძლიერ პროდასავლურ მისწრაფებებს ინარჩუნებენ

გამოკითხვა აჩვენებს, რომ მოქალაქეების უმრავლესობა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს, თუნდაც ამან რუსეთის მხრიდან აგრესიის რისკები გაზარდოს. ზოგადად, ახალგაზრდები, ქალაქების მოსახლეობა, უმაღლესი განათლების მქონე პირები და ოპოზიციის მხარდამჭერები უფრო მეტად უჭერენ მხარს საქართველოს დასავლურ მისწრაფებებს, ვიდრე სხვა ჯგუფები.

საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნატოსა და ვეროკავშირის წევრობა მათ ქვეყანას ეკონომიკურ განვითარებას მოუტანს და არ სჯერა, რომ ამის გამო ისინი ეროვნულ იდენტობას დაკარგავენ. ამავდროულად, საქართველოს მოქალაქეების შედარებით მცირე ნაწილს აქვს იმის მოლოდინი, რომ ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაცია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეუწყობს ხელს და რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტულ რეგიონებს - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოს კონტროლის ქვეშ დააბრუნებს.

ტრადიციულად, საქართველოს მოქალაქეები ნატო-ში გაწევრიანების მტკიცე მხარდაჭერას გამოხატავენ: მიუხედავად იმისა, რომ ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერის დონე წლების განმავლობაში მერყეობს, ის არასდროს ჩამოსულა 60%-ზე ქვემოთ.[1] უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, მხარდაჭერა 77-დან 69 პროცენტამდე შემცირდა.



დიაგრამა 1: ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა - NDI და CRRC-ის გამოკითხვის დროითი მწკრივები

წყარო: *NDI-ის გამოკითხვები საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ, დროითი მწკრივების მონაცემთა ბაზა* caucasusbarometer.org-*ზე*

[1] NDI/CRRC-ის გამოკითხვები საზოგადოების დამოკიდებულებების შესახებ

მოსახლეობის საგარეო ორიენტაციის გასაგებად, რესპონდენტებს ვთხოვეთ, აერჩიათ ორიდან რომელ მოსაზრებას უფრო ეთანხმებიან: „საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციით (ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებით)“ და „საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, თუ, რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის ჩამოყალიბების სანაცვლოდ, უარს იტყვის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე“. უმრავლესობა (54%) ამბობს, რომ საქართველოსთვის სასარგებლოა ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია. ოპოზიციის მხარდამჭერები, ახალგაზრდები (18-34 წლის), დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მოსახლეობა და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უფრო მეტ მხარდაჭერას გამოხატავენ ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ, ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფები.

მოსაზრებები ნატოს და ევროკავშირის შესახებ (%)



დიაგრამა 2: მოსაზრებები ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

მოსახლეობის უმრავლესობა (73%) ეთანხმება, რომ ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ მოსაზრებას სხვებზე მეტად ოპოზიციის მხარდამჭერები, ახალგაზრდები, დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მოსახლეობა და საშუალო განათლებაზე უფრო მაღალი განათლების მქონე ადამიანები ეთანხმებიან.



დიაგრამა 3: საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება და ეკონომიკური განვითარება

მოსახლეობის იგივე ჯგუფები (ახალგაზრდების გარდა) და ქალები, უფრო მეტად ეთანხმებიან იმას, რომ ნატოს წევრობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმარება. თუმცა, ამ განცხადებაზე თანხმობის საერთო დონე უფრო დაბალია (48%), ვიდრე ევროკავშირში გაწევრიანების შედეგად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეკითხვაში მივიღეთ (73%).



დიაგრამა 4: საქართველოს ნატოში გაწევრიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა

მოსახლეობას შედარებით ნაკლებად აქვს უარყოფითი შედეგების მოლოდინი საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში. მხოლოდ 22% ეთანხმება, რომ თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, ის ეროვნულ იდენტობას დაკარგავს. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, ოპოზიციასთან და პარტიებისადმი მიუმხრობლებთან შედარებით, ხოლო საშუალო და პროფესიული განათლების მქონე ადამიანები, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებთან შედარებით, უფრო მეტად ეთანხმებიან ამ მოსაზრებას.



დიაგრამა 5: საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება და ეროვნული იდენტობა

დასავლურ ორგანიზაციებში გაწევრიანების თანმდევ ჰიპოთეტურ უარყოფით შედეგებთან დაკავშირებული კიდევ ერთი განცხადება რუსეთის აგრესიის გაზრდილ რისკს აღწერს იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება. რესპონდენტთა უმრავლესობა (71%) ეთანხმება, რომ ასეთი საფრთხე არსებობს.



დიაგრამა 6: საქართველოს ნატოში გაწევრიანება და რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესია

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებს დავუსვით კითხვა, თუ რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა. შემდეგ პასუხები დავაჯგუფეთ უფრო ფართო კატეგორიებად: „დასავლური ქვეყნები და ორგანიზაციები“, რაც მოიცავს აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, ევროკავშირსა და ნატოს, და „სხვა ქვეყნები“, რაც მოიცავს სომხეთს, თურქეთს, აზერბაიჯანს, უკრაინას, ჩინეთს და ზოგიერთ სხვა ქვეყანას. მოსახლეობის თითქმის ნახევარი (47%) მიიჩნევს, რომ საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა დასავლურ ქვეყნებთან/ორგანიზაციებთან უნდა ჰქონდეს, 12% ამბობს, რომ საქართველოს ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთთან უნდა ჰქონდეს. გამოკითხულთა მეხუთედმა არ იცის, რომელ ქვეყანასთან უნდა ჰქონდეს საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა, ხოლო დანარჩენი სხვა ქვეყნებზე ნაწილდება. დასავლეთთან ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობის მიმართ ყველაზე დიდ მხარდაჭერას ოპოზიციის მომხრეები გამოხატავენ: 66%, რაც მინიმუმ 20 პროცენტული პუნქტით აღემატება ამავე არჩევანის მიმართ

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისა და პარტიებისადმი მიუმხრობელი ადამიანების მხარდაჭერის დონეს. სხვა ჯგუფები ერთმანეთისგან უფრო ნაკლებად განსხვავდება: ახალგაზრდები, დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მოსახლეობა და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები ცოტა უფრო ხშირად ანიჭებენ უპირატესობას დასავლეთთან თანამშრომლობას, ვიდრე ხანდაზმულები, სოფლად მცხოვრები და დაბალი განათლების მქონე ადამიანები.



დიაგრამა 7: რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა?

მთლიანობაში, საქართველოს მოქალაქეები გრძელვადიან პროდასავლურ ორიენტაციას ინარჩუნებენ და სურთ, მათი ქვეყანა დასავლეთის ეკონომიკურ და უსაფრთხოების სისტემას შეუერთდეს. თუმცა, მათ გადაჭარბებული მოლოდინი არ აქვთ, რომ დასავლეთთან ინტეგრაცია ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს. საქართველოს მოქალაქეები ასევე აცნობიერებენ, რომ ქვეყნის დასავლეთთან უფრო მეტად დაახლოებამ შეიძლება, რუსეთის უფრო აგრესიული ქმედებები გამოიწვიოს. ამავე დროს, ქართული საზოგადოება ერთგვაროვანი არ არის და ზოგიერთი ჯგუფი მეტად უჭერს მხარს პროდასავლურ მისწრაფებებს, ზოგი კი - შედარებით ნაკლებად.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ სჯერა, რომ დათმობების გზით რუსეთთან ომის არიდება შესაძლებელია

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ გარკვეულწილად განელებული შეშფოთება რეგიონის უსაფრთხოების შესახებ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე კვლავ მწვავედ იჩენს თავს. ამასთან დაკავშირებით რესპონდენტებს დავუსვით კითხვა, ერთის მხრივ, შესაძლო იყო თუ არა უკრაინის მიერ რუსეთის შეჭრის თავიდან აცილება მასთან დათმობებზე წასვლის გზით, ხოლო, მეორეს მხრივ, დგას თუ არა ასეთი არჩევანი საქართველოს წინაშე და რა დათმობებზე წასვლა ღირს მშვიდობისთვის.

საქართველოს მოქალაქეების მესამედზე მეტი ამბობს, რომ, ზოგადად, დათმობების მეშვეობით ომის თავიდან აცილება უკრაინაშიც შეიძლებოდა და საქართველოშიც დათმობაზე წასვლას რუსეთთან პოტენციური ომის არიდება შეუძლია. მაშინ, როცა გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (46%) მიიჩნევს, რომ რუსეთის მიმართ დათმობები უკრაინას ომის თავიდან აცილებაში არ დაეხმარებოდა, მხოლოდ 22%-ს აქვს ანალოგიური მოსაზრება საქართველოს შესახებ. რესპონდენტთა დანარჩენი ნაწილი (დაახლოებით მეოთხედი) ამბობს, რომ რუსეთ-საქართველოს ომის საფრთხე საერთოდ არ არსებობს.

შეეძლო უკრაინას აერიდებინა/შეუძლია საქართველოს აირიდოს თავიდან ომი რუსეთთან, თუ ის წავიდოდა/წავა გარკვეულ დათმობებზე? (%)



დიაგრამა 8: შეეძლო თუ არა უკრაინას თავიდან აერიდებინა / შეუძლია თუ არა საქართველოს თავიდან აირიდოს რუსეთთან ომი, თუ ის წავიდოდა / წავა გარკვეულ დათმობებზე?

უკრაინასა და საქართველოს მიერ ომის თავიდან არიდების შესახებ პასუხების მსგავსმა განაწილებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ადამიანები ორივე კითხვას ერთნაირად პასუხობენ. თუმცა, გამოკითხვის თანახმად, ეს მთლად ასე არ არის: მოსახლეობის მხოლოდ 21% ამბობს, რომ ორივე ქვეყანას შეეძლო/შეუძლია ომის თავიდან არიდება და 16% მიიჩნევს, რომ არც უკრაინას შეეძლო და არც საქართველოს შეუძლია ომის არიდება რუსეთთან დათმობებზე წასვლის გზით. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი დათმობების გზით რუსეთთან ომის არიდების შესაძლებლობებს სხვადასხვანაირად აფასებს საქართველოს და უკრაინის შემთხვევებში.



დიაგრამა 9: შეეძლო თუ არა უკრაინას თავიდან აერიდებინა / შეუძლია თუ არა საქართველოს თავიდან აირიდოს რუსეთთან ომი, თუ ის წავიდოდა / წავა გარკვეულ დათმობებზე? - დაჯგუფებული

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს უფრო მეტად სჯერათ როგორც იმის, რომ დათმობებზე წასვლით საქართველოს რუსეთთან შესაძლო ომის თავიდან აცილება შეუძლია, ასევე იმის, რომ უკრაინას ომის არიდება შეეძლო. ოპოზიციის მხარდამჭერები, პარტიებისადმი მიუმხრობლები, ქალაქების მოსახლეობა და შედარებით მაღალი განათლების მქონე პირები უფრო ხშირად ამბობენ, რომ საქართველოს ვერანაირი დათმობა ვერ აარიდებს რუსეთთან პოტენციურ კონფლიქტს და ასევე ვერ აარიდებდა უკრაინას. ამავე დროს, „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის მხარდამჭერების დაახლოებით ერთნაირი წილი თვლის, რომ ომი საქართველოში საერთოდ არ არის მოსალოდნელი.

საინტერესოა, რომ პასუხებში ასაკობრივი კრიტერიუმის მიხედვით განსხვავებები მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირებითაა გამოკვეთილი: ახალგაზრდები უფრო ხშირად ამბობენ, რომ საქართველოს რუსეთთან შესაძლო კონფლიქტის თავიდან აცილებაში ვერანაირი კომპრომისი ვერ დაეხმარება. რაც შეეხება სქესის მიხედვით განსხვავებებს, ისინი მხოლოდ უკრაინასთან მიმართებაში იკვეთება: კაცები უფრო ხშირად ამბობენ, რომ უკრაინას დათმობების გზით ომის თავიდან აცილება შეეძლო, ვიდრე ქალები.



დიაგრამა 10: შეეძლო თუ არა უკრაინას თავიდან აერიდებინა / შეუძლია თუ არა საქართველოს თავიდან აირიდოს რუსეთთან ომი, თუ ის წავიდოდა / წავა გარკვეულ დათმობებზე - სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით

საქართველოს მოქალაქეების მესამედზე ცოტა მეტს მიაჩნია, რომ რუსეთთან კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელია დათმობებზე წასვლის გზით. კიდევ უფრო დაბალია მათი წილი, ვინც თანახმაა, ასეთი მშვიდობის სანაცვლოდ უარი თქვას ქვეყნის ისეთ ძირითად ინტერესებზე, როგორიცაა დასავლური ორიენტაცია, ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა.

საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა მიუღებლად მიიჩნევს რუსეთთან კონფლიქტის არიდების მიზნით ქვეყნის ძირეული ინტერესების დათმობას

გამოკითხვაში, ზოგადი დათმობის გარდა, ასევე დავსვით კითხვა სამი კონკრეტული დათმობის შესახებ, როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს შემთხვევაში: ა) პროდასავლური ორიენტაციის დათმობა, ბ) ტერიტორიების ნაწილის დათმობა და გ) ოფიციალურად რუსეთთან შეერთება. მთლიანობაში რესპონდენტები დაბალ მხარდაჭერას გამოხატავენ თითოეული ამ დათმობის მიმართ (განსაკუთრებით, როდესაც კითხვა საქართველოს ეხება). გამოკითხულთა მხოლოდ მეხუთედი ეთანხმება, რომ საქართველომ რუსეთთან ომის არიდების მიზნით პროდასავლური ორიენტაცია უნდა დათმოს (ოდნავ მეტი ეთანხმება იმავე დათმობას უკრაინის შემთხვევაში). თითქმის ამდენივე ვერ პასუხობს ამ შეკითხვას, ხოლო გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ამ შესაძლო დათმობას არ ეთანხმება. დანარჩენ შემოთავაზებულ დათმობებს (ტერიტორიების ნაწილის და დამოუკიდებლობის) მოსახლეობა კიდევ უფრო ნაკლებად უჭერს მხარს როგორც საქართველოს, ისე უკრაინის შემთხვევაში.



დიაგრამა 11: შესაძლო დათმობების მხარდაჭერა რუსეთთან ომის ასარიდებლად

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერები უფრო მეტად არიან მზად, ომის თავიდან აცილების მიზნით პროდასავლური ორიენტაცია დათმონ, ვიდრე ოპოზიციის მხარდამჭერები და პარტიებისადმი მიუმხრობლები, როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის შემთხვევაში. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს შორის ყველაზე დაბალია რუსეთთან შესაძლო ომის ასარიდებლად პროდასავლური ორიენტაციის დათმობის მოწინააღმდეგეთა წილი და ყველაზე მაღალია ასეთი კომპრომისის მომხრეთა წილი. ქალებთან შედარებით, კაცები უფრო ხშირად ეთანხმებიან, რომ უკრაინას პროდასავლური ორიენტაცია უნდა დაეთმო, თუკი ამით ომს თავიდან აიცილებდა, თუმცა, საქართველოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განსხვავებები გენდერულ ჭრილში არ იკვეთება. ამასთანავე, ახალგაზრდებს, ქალაქის ტიპის დასახლებების მოსახლეობას და უმაღლესი განათლების მქონეებს ნაკლებად სურთ ქვეყნის პროდასავლური მისწრაფებების გაცვლა რუსეთთან ჰიპოთეტური ომის თავიდან არიდებაში.



დიაგრამა 12: უნდა დათმოს საქართველომ / დაეთმო უკრაინას დასავლური ორიენტაცია თუ ეს მას რუსეთთან ომს აარიდებს / აარიდებდა - სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით

ტერიტორიების დათმობას, როგორც შესაძლო კომპრომისს რუსეთთან, კიდევ უფრო ნაკლები მხარდაჭერა აქვს, ვიდრე პროდასავლური ორიენტაციის დათმობას, როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს შემთხვევაში. უფრო მეტიც, ამ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში უფრო მცირე განსხვავებები იკვეთება. მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების პოზიციები გამოირჩევა სხვა პარტიული ჯგუფების პოზიციებისგან: მათთვის სხვებზე მეტად მისაღებია საქართველოსა და უკრაინის მხრიდან რუსეთთან ომის თავიდან აცილების მიზნით ტერიტორიების ნაწილის დათმობა. საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები ოდნავ უფრო ხშირად უჭერენ მხარს უკრაინის შემთხვევაში მშვიდობისთვის ტერიტორიების დათმობას, თუმცა. საქართველოს შემთხვევაში მსგავსი ტენდენცია არ ჩანს.



დიაგრამა 13: უნდა დათმოს საქართველომ / დაეთმო უკრაინას ტერიტორიების ნაწილი თუ ეს მას რუსეთთან ომს აარიდებს / აარიდებდა - სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით

უკრაინისა და საქართველოს მხრიდან რუსეთისთვის შესაძლო კომპრომისის მესამე და ყველაზე რადიკალური ვარიანტი, რომელიც გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებს შევთავაზეთ, დამოუკიდებლობის დათმობა და რუსეთთან ოფიციალურად შეერთებაა. ისევე, როგორც ტერიტორიების ნაწილის დათმობის შემთხვევაში, ეს ვარიანტიც უაღრესად არაპოპულარულია: საქართველოს შემთხვევაში გამოკითხულთა 74%, ხოლო უკრაინის შემთხვევაში რესპონდენტთა 66% მსგავს კომპრომისს მიუღებლად მიიჩნევს. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს თუ შევხედავთ, დამოუკიდებლობის დათმობის ფასად ომის თავიდან აცილება ყველაზე მიუღებელია ოპოზიციის მხარდამჭერებისთვის, ახალგაზრდებისთვის, თბილისის მოსახლეობისთვის და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებისთვის.



დიაგრამა 14: უნდა შეუერთდეს საქართველო / შეერთებოდა უკრაინა ოფიციალურად რუსეთს თუ ეს მას რუსეთთან ომს აარიდებს / აარიდებდა - სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, უკრაინაში რუსული აგრესიის პირობებშიც კი, საქართველოს მოქალაქეები მზად არ არიან, ჩრდილოელი მეზობლის პოლიტიკური ამბიციების შესაკავებლად უარი თქვან პროდასავლურ მისწრაფებებზე, ტერიტორიებსა და დამოუკიდებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ქართული საზოგადოება გადაჭრით არ უარყოფს გარკვეული სახის კომპრომისებზე წასვლის შესაძლებლობას, ის მკაფიო ხაზებს ავლებს იქ, სადაც ასეთი დათმობების გაკეთება შეუძლებელია.

ინფორმაციის მიწოდების გავლენა დათმობების მიმართ დამოკიდებულებებზე

გამოკითხვაში რანდომიზებული ექსპერიმენტი გამოვიყენეთ, რომ დაგვედგინა, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობის შეხედულებებზე რუსეთთან ომის აცილების სანაცვლოდ გაწეული დათმობების შესახებ. რესპონდენტები შემთხვევითობის პრინციპით სამ ჯგუფში განაწილდნენ. ერთმა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია, რომელიც უკრაინის სამხედრო წარმატებას უსვამდა ხაზს, მეორე ჯგუფმა მოისმინა ინფორმაცია, რომელიც აქცენტს უკრაინის დანაკარგებზე აკეთებდა, ხოლო მესამე ჯგუფს რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია არ მიუღია. რესპონდენტებმა უკრაინის წარმატებისა და დანაკარგების შესახებ ინფორმაცია რუსეთის მიმართ კომპრომისებთან დაკავშირებულ კითხვებამდე მოისმინეს, რაც საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ინფორმაციის შინაარსის (ექსპერიმენტული პირობის) ზეგავლენა მათ შემდგომ პასუხებზე. მონაცემები აჩვენებს, რომ ოპოზიციის მხარდამჭერები, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად არიან მიდრეკილნი რუსეთთან კომპრომისზე წასვლისკენ, მიწოდებული ინფორმაციის შინაარსის ზემოქმედებით უფრო ადვილად იცვლიან მოსაზრებებს.

მთელი მოსახლეობის დონეზე ექსპერიმენტული პირობა (ინფორმაციის შინაარსი) მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს არც უკრაინასთან და არც საქართველოსთან დაკავშირებულ პასუხებზე. ამავდროულად, მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი მნიშვნელოვნად მოქმედებს ოპოზიციის მხარდამჭერების განწყობებზე: ოპოზიციის მხარდამჭერები, რომლებმაც მოისმინეს ინფორმაცია უკრაინის დანაკარგების შესახებ, 25 პროცენტული პუნქტით უფრო ხშირად ირჩევენ პასუხს, რომ „უკრაინას შეეძლო ომის თავიდან არიდება რუსეთთან გარკვეულ დათმობებზე წასვლით“, ვიდრე ოპოზიციის ის მხარდამჭერები, რომლებსაც არანაირი ინფორმაცია არ მიუღიათ. რაც შეეხება კითხვას საქართველოსთან მიმართებაში, ოპოზიციის მხარდამჭერები, რომლებმაც მოისმინეს ინფორმაცია უკრაინის წარმატებასთან დაკავშირებით, უფრო იშვიათად პასუხობენ, რომ საქართველომ რუსეთთან დათმობის გზით შეიძლება, თავიდან აიცილოს ომი, ვიდრე ოპოზიციის ის მხარდამჭერები, რომლებსაც არანაირი ინფორმაცია არ მოუსმენიათ. თუმცა, საქართველოსთან დაკავშირებულ კითხვაში ინფორმაციის ზეგავლენის სტატისტიკური ეფექტი თითქმის უმნიშვნელოა.



დიაგრამა 15: ომის არიდება შესაძლოა დათმობების გზით - ინფორმაციის ეფექტი.

ოპოზიციის მხარდამჭერებში, ქალებსა და ახალგაზრდებში უკრაინის სამხედრო მარცხის შესახებ ინფორმაციის მოსმენა საქართველოს მხრიდან რუსეთთან ომის თავიდან ასაცილებლად პროდასავლური ორიენტაციის დათმობის მხარდაჭერას ზრდის, მათთან შედარებით, ვისაც არანაირი ინფორმაცია არ მოუსმენია. მსგავსი ეფექტი უკრაინასთან დაკავშირებულ ანალოგიურ კითხვაზე პასუხებშიც ფიქსირდება, თუმცა, ამ შემთხვევაში, საინფორმაციო ზეგავლენის სტატისტიკური მნიშვნელობა ზღვარზეა.



დიაგრამა 16: დასავლური ორიენტაციის დათმობა ომის ასარიდებლად - ინფორმაციის ეფექტი.

უკრაინის მხრიდან რუსეთთან ომის თავიდან ასაცილებლად ტერიტორიების ნაწილის ან დამოუკიდებლობის დათმობის შესახებ კითხვის ფარგლებში, რესპონდენტებისთვის მიწოდებული ინფორმაციის შინაარსის ეფექტი მხოლოდ ოპოზიციის მხარდამჭერებსა და ახალგაზრდებში ვლინდება. ამ ორივე ჯგუფში უკრაინის დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მოსმენა ზრდის თანხმობას მოსაზრებაზე, რომ მშვიდობის მისაღწევად უკრაინის რუსეთთან შეერთება ღირდა. რაც შეეხება საქართველოს მხრიდან ტერიტორიების ნაწილის ან დამოუკიდებლობის დათმობის შესახებ კითხვებს, აქ უკრაინის წარმატებასა თუ წარუმატებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეფექტი გამოკითხვაში განხილულ არცერთ პოლიტიკურ ან დემოგრაფიულ ჯგუფში არ იკვეთება.



დიაგრამა 17: დამოუკიდებლობის დათმობა ომის ასარიდებლად - ინფორმაციის ეფექტი.

რანდომიზებული ექსპერიმენტის შედეგები ხაზს უსვამს, რომ ინფორმაცია ამა თუ იმ შეხედულების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების მობილიზებისთვის ძლიერი ინსტრუმენტია, თუმცა, ამასთანავე ინფორმაციის გავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფზე შესაძლოა, სხვადასხვა იყოს. საინტერესოა, რომ ჯგუფები, რომლებიც ქვეყნის პროდასავლური არჩევანის მიმართ ყველაზე ძლიერ მხარდაჭერას გამოხატავენ, და ვინც ყველაზე ნაკლებად უჭერენ მხარს რუსეთთან რაიმე კომპრომისს (კერძოდ, ოპოზიციის მხარდამჭერები და, ახალგაზრდები), ყველაზე მეტად მოწყვლადი არიან უკრაინის დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მიმართ და ყველაზე მეტად იცვლიან შეხედულებებს რუსეთის მიმართ კომპრომისების თაობაზე. ამის საპირისპიროდ, ჯგუფები, რომლებსაც რუსეთის მიმართ უფრო რბილი პოზიციები აქვთ (პარტიებისადმი მიუმხრობლები და მმართველი პარტიის მხარდამჭერები), ინფორმაციის ეფექტის მიმართ უფრო მედეგნი არიან.

უმრავლესობას სჯერა, რომ უკრაინა საკუთარ ტერიტორიებს გაათავისუფლებს

საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რუსეთი უკრაინის ოკუპაციას ვერ შეძლებს, თუმცა, აზრები იყოფა იმის შესახებ, შეძლებს თუ არა უკრაინა თავისი ტერიტორიების სრულად თუ მხოლოდ ნაწილობრივ გათავისუფლებას. ოპოზიციის მხარდამჭერები უფრო მეტ ოპტიმიზმს გამოხატავენ უკრაინის წარმატების მიმართ, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და პარტიებისადმი მიუმხრობელი ადამიანები. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებსა და პარტიებისადმი მიუმხრობელ მოქალაქეებთან შედარებით, ოპოზიციის მხარდამჭერები ასევე უფრო დადებითად აღწერენ მიმდინარე ომში უკრაინის პრეზიდენტისა და დასავლეთის ლიდერების (ბაიდენისა და ყოფილი პრემიერმინისტრის ჯონსონის) როლს, ხოლო უფრო უარყოფითად - ბელარუსის და რუსეთის პრეზიდენტებისა და საქართველოს ლიდერების (ღარიბაშვილისა და ზურაბიშვილის) როლს.

მოსახლეობის მხოლოდ 5% ამბობს, რომ ომი რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის სრული ოკუპაციით დასრულდება. დანარჩენი ნაწილი დაახლოებით თანაბრად იყოფა მათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ ომი უკრაინის ნაწილობრივი ოკუპაციით დასრულდება, ვინც ფიქრობს, რომ ომი უკრაინის ტერიტორიების სრულად გათავისუფლებით დასრულდება და ვისაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს. ჯგუფებს შორის განსხვავება არ იკვეთება და მხოლოდ ოპოზიციის მხარდამჭერები გამოირჩევიან უკრაინის ტერიტორიების სრულად გათავისუფლების ყველაზე დიდი მოლოდინით (52%, როდესაც სხვა ჯგუფებში ეს სიდიდე მაქსიმუმ 39%-ს აღწევს).



დიაგრამა 18: რა შედეგით დასრულდება ომი უკრაინაში? სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით

გამოკითხვა ასევე მოიცავდა უკრაინის ომთან მიმართებაში სხვადასხვა ლიდერის როლის შესახებ შეკითხვებს. უცხოელ ლიდერებს შორის რესპონდენტები დადებითად აფასებენ ვოლოდიმირ ზელენსკის, ბორის ჯონსონისა და ჯო ბაიდენის როლს, ხოლო ალექსანდრე ლუკაშენკოსა და ვლადიმერ პუტინის როლს - უარყოფითად. ოპოზიციის მხარდამჭერები ზელენსკის და დასავლელი ლიდერების როლს უფრო დადებითად აფასებენ, ხოლო პუტინისა და ლუკაშენკოს როლს უფრო უარყოფითად, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და პარტიებისადმი მიუმხრობლები.

უცხოელი ლიდერების ქმედებების შეფასება უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით?(%)



დიაგრამა 19: უცხოელი ლიდერების ქმედებების შეფასება უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით

რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას - პრემიერ ღარიბაშვილსა და პრეზიდენტ ზურაბიშვილს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები მათ როლს უფრო დადებითად აფასებენ, ვიდრე ოპოზიციის მხარდამჭერები და პარტიებისადმი მიუმხრობლები.



დიაგრამა 20: ქართველი ლიდერების ქმედებების შეფასება უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით

მთლიანობაში, საქართველოს მოქალაქეები მოელიან, რომ უკრაინა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას შეძლებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკუთარ ტერიტორიაზე სრული კონტროლის აღდგენას ვერ მოახერხებს. უკრაინის ხელმძღვანელობის, ისევე, როგორც უკრაინის მხარდამჭერი დასავლელი ლიდერების როლს, ქართული საზოგადოება დადებითად აღიქვამს, ხოლო საქართველოს ხელმძღვანელობის ქმედებების შეფასება იცვლება იმის შესაბამისად, თუ რომელ პარტიას უჭერს ესა თუ ის ადამიანი მხარს.

შეჯამება

საქართველოს მოქალაქეები ძლიერ პროდასავლურ ორიენტაციას ინარჩუნებენ: საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას სურს, საკუთარი ქვეყანა ევროკავშირისა და ნატოს წევრად იხილოს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამავდროულად რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიის გაზრდის მოლოდინი აქვთ. მათ მიაჩნიათ, რომ ნატოსა და ევროკავშირის წევრობა ქვეყანას ეკონომიკურ განვითარებას მოუტანს და ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე გაზვიადებულია: საქართველოს მოქალაქეების მხოლოდ 22% ეთანხმება, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში ეროვნულ იდენტობას დაკარგავს, ხოლო 73% თანხმდება, რომ ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. ამავდროულად, საქართველოს საზოგადოება ერთგვაროვანი არ არის და ზოგიერთი ჯგუფი სხვებზე მეტად უჭერს მხარს პროდასავლურ მისწრაფებებს: ახალგაზრდებში, ქალაქების მოსახლეობაში, უმაღლესი განათლების მქონე პირებსა და ოპოზიციის მხარდამჭერებში საქართველოს პროდასავლური მისწრაფებების მხარდაჭერის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ჯგუფებში.

საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას არ სჯერა, რომ დათმობების გზით შესაძლებელია რუსეთთან ომის არიდება. საქართველოს მოქალაქეების ერთ მესამედზე ოდნავ მეტი მიიჩნევს, რომ უკრაინას შეეძლო, ან საქართველოს შეუძლია რუსეთთან ომის არიდება დათმობებზე წასვლის გზით. ამასთან, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (46%) ამბბოს, რომ რუსეთის მიმართ დათმობები უკრაინას ომის თავიდან აცილებაში არ დაეხმარებოდა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები პარტიებისადმი მიუმხრობელ მოქალაქეებსა და ოპოზიციის მხარდამჭერებზე უფრო ხშირად პასუხობენ, რომ დათმობების გზით შესაძლებელია ომის თავიდან არიდება როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში.

საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა არ ეთანხმება სტრატეგიული ეროვნული ინტერესების დათმობას რუსეთთან ომის თავიდან აცილების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ქართული საზოგადოება შესაძლო კომპრომისებს გადაჭრით არ უარყოფს, ის ჩრდილოელი მეზობლის პოლიტიკური ამბიციების დასამშვიდებლად ქვეყნის პროდასავლური მისწრაფებების, ტერიტორიებისა და დამოუკიდებლობის შეწირვის წინააღმდეგია. გამოკითხულთა მხოლოდ მეხუთედი (და ოდნავ მეტი, უკრაინის შემთხვევაში) ეთანხმება იმას, რომ საქართველომ უნდა დათმოს პროდასავლური ორიენტაცია, თუ ეს თავიდან აარიდებს ომს, იმ ფონზე, როდესაც გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ამ შესაძლო კომპრომისს არ ეთანხმება.

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ომის თავიდან აცილების მიზნით უფრო მეტად არიან მზად, დათმონ პროდასავლური ორიენტაცია, ვიდრე ოპოზიციის მხარდამჭერები და პარტიებისადმი მიუმხრობლები. მეორეს მხრივ, ახალგაზრდებს, ქალაქების მოსახლეობასა და უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეებს ნაკლებად სურთ რუსეთთან შესაძლო მშვიდობაში ქვეყნის პროდასავლური

მისწრაფებების გაცვლა. სხვა პოტენციურ კომპრომისებს, როგორიცაა მშვიდობისთვის ტერიტორიების ნაწილის დათმობა ან დამოუკიდებლობა, მოსახლეობა კიდევ უფრო კატეგორიულად უარყოფს, ვიდრე პროდასავლური ორიენტაციის დათმობას.

მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი გავლენას ახდენს დამოკიდებულებებზე კომპრომისებთან დაკავშირებით. გამოკითხვის ფარგლებში ჩატარებული რანდომიზებული ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ სხვადასხვა ჯგუფი განსხვავებულად რეაგირებს სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციაზე: უკრაინის სამხედრო წარმატებაზე თუ უკრაინის სამხედრო დანაკარგებზე. მიწოდებული ინფორმაცია მოქმედებს მოსახლეობის ყველაზე პროდასავლურ სეგმენტზე: ჯგუფები, რომლებიც ყველაზე ძლიერ პროდასავლურ დამოკიდებულებებს ავლენენ და ყველაზე ნაკლებად უჭერენ მხარს რუსეთთან რაიმე სახის კომპრომისს (ოპოზიციის მხარდამჭერები და, გარკვეულწილად, ახალგაზრდები), ყველაზე მეტად ექცევიან უკრაინის სამხედრო დანაკარგების შესახებ ინფორმაციის ზეგავლენის ქვეშ და სხვა ჯგუფებზე უფრო მეტად იცვლიან საკუთარ მოსაზრებებს რუსეთის მიმართ უფრო რბილი პოზიციის სასარგებლოდ.

საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა დადებითად აფასებს უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის როლს. მაღალი შეფასების მხრივ, მას მოსდევს ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი ბორის ჯონსონი და აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. მოსახლეობა უარყოფითად აფასებს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს და ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს. ზოგადად, ოპოზიციის მხარდამჭერები უფრო კატეგორიულები არიან საკუთარ შეფასებებში და უფრო დადებითად აღწერენ უკრაინის პრეზიდენტისა და დასავლელი ლიდერების როლს, ხოლო რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტების როლს - უფრო უარყოფითად, ვიდრე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და პარტიებისადმი მიუმხრობელი მოქალაქეები. რაც შეეხება საქართველოს ხელმძღვანელობის ქმედებებს რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით, სხვადასხვა პარტიის მხარდამჭერები მათ სხვადასხვანაირად აფასებენ.

მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უკრაინა დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებს. საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ამბობს, რომ რუსეთი უკრაინის ოკუპაციას ვერ შეძლებს, თუმცა, მოსაზრებები იყოფა იმის შესახებ, შეძლებს თუ არა უკრაინა ტერიტორიების სრულად თუ მხოლოდ ნაწილობრივ გათავისუფლებას.